# ცისკარი.

1866

ივლისი

წელიწადი მეათე.

წოდება თხზულებათა:


I — ძალად ექიმი

II — ლექსები: თ. დათა ბუზუნავას თ. გიორგი ორბელიანისა

III — ფელი. — ი. გ. —

IV — დედაბერი ი. გ.

V — გამდლების დარიგება ყმაწვილები აღზრდისთვის კას. მაჩაბლისა



ტფილისი.

ქერესელიძის ტიპოგრაფიაში.



თბილისი

# მალათ მქიმი

---

1866

მოქმედნი პირნი:

თათუა, ვაქსის მკეთებელი.
ნანუა, ცოლი ამისი.
ალალო, მეწვრიმანე
მებატონე ივანე მარჯანიძე.
ქალი ამისი, მელანია
ძმა მელანიასი.
მსახურნი ამათი: შიო და ლუკა.
ლევან, საყვარელი მელანიასი.
ყმაწვილი წამლისათჳს

# მალად ექიმი.

## მოქმედება პირველი,

თეატრი წარმოადგენს ოთახს უბრალოსა

### გამოსვლა 1,

თათუა. არას გავაკეთებ მე შენ გეუბნები და ლაპარაკიც ჩემი რიგია და თავიც მე ვარ.

ნანუა. მე შენ გეუბნები მე ვარ თავი, შენ ჩემს ქეიფზედ უნდა იყო, მე იმისთვის კი არ შეგირთე, რომ შენი ტუტუცობა მოვითმინო.

თათუა. ოჰ, რა დიდი ხათაა ცოლის ყოლა და არისტოტელმა მართალი სთქვა: დედაკაცი სულ ბაიყუშიაო.

ნანო. ვითომ ნასწავლი ხარ; იმოდენი ხანი ექიმათ ებარე, ვაქსის მეტი ვერა ისწავლერა.

თათუა. დიას ნასწავლი კაცი ვარ, აბა ერთი მეფიჩხის შვილი მიპოვე ესე ჩემსავით, რომელსაც ექვსი წელიწადი ემსახუროს ნაქებს ექიმთანა, და რომელმაც იცოდეს ზეპირათ ევროპის მეცნიერება.

ნანო. დაიკარგე გიყო, რეტიანო, ნეტა შენი არისტოტელები პურსაც არ გაჭმევენ.

თათუა. დაიკარგე და გადიკარგე.

ნანო. დაიქცეს ის საათი და ის დღე, როდესაც შენის შერთვის თანხმობა ვსთქვი.

თათუა. აი დაიქცეს დიდცხვირიანთ ტერაკოთვას ოჯახი, რომელმაც შენზედ ჯვარი დამწერა.

ნანო. შენმა სიცოცხლემ შენ ძალიან საწყალი არა გაქვს, მაგ საქმეში რატომ უკვედროვს ღმერთს მადლობას არ უნდა სწირავდე, რომ ჩემისთანა გვამი მოგცა ცოლათ, შენ ღირსი იყავ ჩემისთანა ცოლის ყოლისა?

თათუა.. მართალია, დიდათ გამაბედნიერე, მეტადრე უნდა ვაქო პირველი ჩვენის ქორწილის ღამე. — ეა! დედაკაცო! ამაზე მეტს ნურარას მალაპარაკებ, თორემ იმ ერთ ამბავს ვიტყვი....

ნანუა. რაო! რას იტყვი?

თათუა. კმარა, გინდა ბიაბრუ გაგხადო, მაგ ამბავს თავი დავანებოთ, საკმაოა, როგორც იყო იყო, ის მე და შენ ვიცით და ბედნიე-

რი ხარ რომ მე შენ შეგხვდი.

ნანო. არას რას ქმასი დიდს ბედნიერებას, რომ შენ შეგხვდი? რომელმაც-სააქიმოთ საქმე გამისადე, გარყვნილო; მეხსნათო, აღარ ამემარჩინეს სულ შემიჭამე.—

თათუა. ტყუილს ამბობ, ნასყიდო დედაკ.—

ნანო. სულ გამიყიდე წვრილ წვრილად რაც რამ სახლის ავეჯი მქონდა.—

თათუა. უფრო ყაირათით ვიცხოვრებთ.—

ნანო. უკანასკნელი ქვეშსაგებიც აღარ შემარჩინე.—

თათუა. უფრო ადრე ავდგები.—

ნანო. ბოლოს ერთი აღარა გაუშვირა სახლის ავეჯი.—

თათუა. უფრო სუბუქათ გარდავესახლდებით.—

ნანო. რომელიც დილიდგან საღამომდინ თამაშობისა და სმის მეტს არას აკეთებ.

თათუა. ამიტომ რომ არ მომეწყინოს.

ნანო და ერთი მიბრძანე მაგაობაში მე რაღა უნდა გავაკეთო ჩემს სახლში.—

თათუა რაც შენ გიამებს.—

ნანო. ოთხი პატარა საწყალი შვილები მე მკიდია ზურგზედ.—

თათუა. ძირს დასვი?—

ნანო. რომელიც წამ და უწუმ პურსა მთხოვენ.—

თათუა. კაი ჯოხები მიარტყი. რადგანაც მე კარგა გამაძღარი და დალეული ვარ, მე მსურს რომ ჩემს სახლში ყველანი მაძღარი იყვნენ.—

ნანო და შენ გგონია ლოთო, რომ სულ მუდამ ამ ცხოვრებაში ვიყვნეთ.—

თათუა. დედაკაცო. გაჩუმდი მეთქი.—

ნანო. უნდა ყოველთვისან ვითმინო შენი ჭირვეულობა და ცუდი ქცევა.—

თათუა. მაგაზედ მეტს ნუღარ შეუკიდებ დედაკაცო.—

ნანო. ერთი ვერ მიპოვნია ხერხი რომ შენ სწორე გზაზედ დავაყენო.—

თათუა. დედაკაცო. კარგათ იცოდე რომ ბევრი მოთმენის თავი არა მაქვს.—და კელმანკიანიცა ვარ.

ნანო. საკვირველათ არ მეშინიან შენის მუქარისა.—

თათუა. ნანო, ჩემო კუჭო! შენ მე მგონია როგორადაც ზურგი გე-

ქავებს. და დაჩვეულიხარ....

ნანო. მე შენ გაჩვენებ რომ შენი არაოდეს არ მეშინიან.

თათუა. საყვარელო მეუღლევ. შენ ძალიან ცდილობ გამომტყუო რამე —

ნანო. იქნება ფიქრობ. რომ მე შენის სიტყვებისა მეშინოდეს. —

თათუა. ჩემო სურვილის ნუგეშო! მე ვიცი ცოტა ყურებს მოგიხრეს. —

ნანო. წადი, მე ლოთო.

თათუა. მე შენ მიგჯოხავ.

ნანო. მოუკუმრაო ტიკო!

თათუა. გაგზურგავ მეთქი. —

ნანო. მეფიჩხის შვილო!

თათუა. გაგქელავ. —

ნანო მუსანათო. ჭირვეულო. მომტყუებელო! ავაზაკო! ბედშავო! ავსულო! გლახავ! ტანტალავ! ცრუო! ბოროტო! ქურდო! ლოთო! —

თათუა. გინდა ეგ არის რაღა, აგერ იმლი? (აიღებს თათუა ჯოხსა და ჰსცემს ცოლსა)

ნანო. (გაიქცევა ყვირილით) ვაიმე. ვაიმე. ვაიმე. (მერე სხვა შემოვარდება.)

თათუა, ჩემს ცოლს ჯოხის მეტი ვერა დააჩუმებსრა. —

გამოსვლა 2. —

თათუა, შუშანა და ალალო

ალალო. შენ კი თათო, თათო, გრცხვენოდეს, რას შვრები? ანა რატომ არა გრცხვენიან, დაიქცეს იმის ოჯახი, ვინც აგრე თავის ცოლს სცემს

ნანო. (ალალოს,) ჩემი ქეიფია და მცემს.

ალალო. აი მაშ კარგი, მეც თანახმა ვარ შენიჭირიმე. —

ნანო შენ რას დაეძებ!?

ალალო. დანაშაული მაქვს.

ნანო. არა, რა შენი საქმეა? —

ალალო. ჭეშმარიტათ მართალს ბრძანებ,

ნანო. ამისთანა სულელი გინახავთ? ქმარს ავისის ცოლის ცემას უშ-

ლიდეს. —

აღალო. უკანვე მიმაქს ჩემი სიტყვები, —

ნანო. არა ერთი რა საქმე გაქვს? —

აღალო. არა ფერი!

ნანო. შენი საქმეა, რომ წამოეკკეტე?

აღალო. არა. —

ნანო. საქმე გამოგწყვეტია!

აღალო. აგი აღარას მოგასხენებ.

ნანო. მე მინდა რომ მცემოს. —

აღალო. ვა, ჯანი დაგვარდეს თუ გცემს. მეც უაზული, უაზული.

ნანო. ეგ შენზედ არ არის დამოკიდებული. —

აღალო მართალი ია. —

ნანო სულელი სარ რომ მოდიხარ და ერევი ამისთანა საქმეში, რაც შენნასული არა გაქვს (ერთს სილას შემოჰკრავს)

აღალო. (თათოს) თათო, ჭეშმარიტათ უკაცრავათა ვარ შენთანა. — აბა რაც შეგიძლოს დაჰკარ შენ ცოლს თუგინდა მეც მოგეხმარები. —

თათუა. საჭირო არ არის —

აღალო. მაშ ეს ურიმ ბანე?

თათუა. როცა მსურს ცემა, მინდა ვცემ და, როცა არა მსურს არ მინდა და არა ვცემ, გაიგე?

აღალო. უცხო და პატიოსანი. —

თათუა. ჩემი ცოლია და არა შენი.

აღალო. ჭეშმარიტათ: —

თათუა. შენ ჩემი მბრძანებელი არა სარ, —

აღალო. მართალია.

თათუა. მე შენ შემწეობას არა გთხოვ. —

აღალო. თანახმა ვარ. —

თათუა. დიდი ბრიყვი ბრძანდები, რომ სხვის საქმეში ერევი; ეს იცოდე რომ ციცერონი სთქვა: ხესა და ქერქსშუა თითს ნუ ჩასდებო. (დაუწყებს აღალოს ცემას და გააგდებს)

## გამოსვლა 3

თათუა და ნანუა.

თათუა. აბა მოდი ახლა შევრიგდეთ. მოიტა ხელი.

ნანუა. უცხოა, გარგათ მიმამტვრიე და ახლა? —

თათუა. რა უყოთ, მოიცა კელი!

ნანუა. არ მინდა

თათუა. ეჰ!,..

ნანუა, არა მეთქი!

თათუა. ჩემო, ჩემო ცუგრუმელო.—

ნანუა. სულ არა თქვენმა მზემა.—

თათუა. მოდი მეთქი ჲ.

ნანო. არამეთქი ჲ!

თათუა. მოდი, მოდი, მოდი!

ნანო, არ იქნება, ესე გაანჩხლებული უნდა ვიყო.

თათუა. ეჰ!., მაგისთანა უბრალო საქმეზედ, კარგი კარგი, ჲ.

ნანო. კარგია; თავი დამანებე:—

თათუა. გეუბნები, კელი დაჰკარ მეთქი.

ნანო. რაღა მიქნია.

თათუა. კარგია ჲ მაგას თავს დავანებოთ, ბოდიშს ვითხოვ, მოცა კელი!

ნანო. მიპატიებია (იქით) მაიცა, მეც გადაგიხდი,—

თათუა. გიყვარ. რომ ამისთანა საქმეს ყურს უგდებ, ეს იმისთანა საქმეა, რომ ხანდისხან საჭიროა მეგობრობაში ხუთიოთ ექვსი ჯოხის დაკვრა.—მოსიყვარულე პირთ შორის სიყვარულის გადასალისება; ახლა მე დუქანში წავალ ჲ პირობას გაძლევ, რომ დღეს ხუთ კოლოფს ვაქს გავყიდი. (გავა.)

ნანო. მიბძმანდი; მე რაც უნდა ქეიფზედ გნახო მაინც არაოდეს არ დავივიწყებ ამ ტკივილს, გული მისკდება ჩემ თავზედ, რომ ერთი იმისთანა ვერ ვიფიქრე რამ, რომ მე შენ გარდაგესთევინო რაცხები მომარტყი, მე კარგათ ვიცი, რომ დედაკაცს ყოველთვის სცდთა აქვს კარგი ღონის მიება ქმარზედ ჯავრის ამოყრისა, მაგრამ იმნაირის ჯავრის ამოყრა ჩემი სულელი ქმრისათვს ცოტაა, ასე რიგათ უნდა გადაუხადო, რომ კარგათ იგრძნოს ჲ იმითი ვერ დავკმაყოფილდები, რაც მე უპატიურება მიყილე.—

გამოსვლა 4.

ნანო, შიო ჲ ლუკა.—

ლუკა, (შიოს.) ორთავ რაღაც საქმე მოგვაჩემეს ჲ არ ვიცი რომ-

ქლს ეშმაკებში უნდა ვიპოვნოთ.

შიო. (ლუკას.) რა უნდა ჰქნა ჩემო საყვარელო ძიძის ქმარო, მორჩილნი უნდა ვიყვნეთ ჩვენის ბატონისა და ამასთან სარგებლობა გვაქვს ერთსაც და მეორესაც, რომ კარგათ იყოს იმისი ქალი ჩვენი ქალბატონი, უსათუოდ იმის გათხოვება ავანტნოთობამ მეაყვენა, არ იქნება, რომ ცოტა ჩვენც არა გვერგოსრა, ღვინოს მაინც დავლევთ, თუმც ქალს კი ძალიან მეგობრობა ჰქონდა, ვიღაც ლეკანზედ, შენ ხომ კარგათ იცი იმის მამა რას დროს თანახმა არ შეიქნა იმის სიძობისა.—

ნანო. (თავისთავს ოცნებობს, მარტო ჰგონია თავის თავი) ვერა მიპოვნიარა იმისთანა, რომ ჯავრი ამოვიყარო.—

ლუკა. (შიოს) რა აიტეხე მმაო და რა თავს იხეთქს ექიმები დასრულეს რაც რამ იცოდნენ.—

შიო. (ლუკას:) რასაც ბევრჯელ არ მოელის კაცი პოვნას, საცა არ ეძებს იქ იპოვნის.—

ნანო. (ჰგონია მარტოა.) უთუოდ უნდა ჯავრი ამოვიყარო, რაც უნდა დამემართოს, ის ჯოხები კიდევ გულში მხვდება, მე არაოდეს არ დამავიწყდება და...- (შიოს და ლუკას ეტყვის) ახ! უკაცრავათ ბატონებო ვერ დაგინახეთ ფიქრში ვიყავ, რა გნებავსთ?—

შიო. ექიმს ვეძებთ, აქ სადღაცა დგასო.—

ნანო. მაგაში მოგეხმარებით!

შიო. შესაძლებელია. ჩვენ ვეძებთ აგება როგორმე შევხვდეთ იმისთანა მცოდნეს ექიმსა, რომელსაც მეეძლოს რგება ჩვენი ბატონის ქალისა, იმისთანა ავანტყოფობა დაემართა, რომა ენა ჩაუვარდა; ბევრი ექიმი მოიყვანა, დასრულეს რაც იცოდნენ და ვერა უშველესრა, ბევრჯელ იმისთანა მცოდნე კაცი იპოვნება, რომელმანც იცის იმისთანა წამალი და შეუძლიან მორჩენა იმნაირი ავანტყოფობისა, რომელსაც სხვები ვერას არგებენ, აი ჩვენ ამისთანა კაცს ვეძებთ.

ნანუა (ჩუმათ იქით.) ახ, რაკაი ხეირს მაძლევს ღმერთი, ჩემი ბედოვლათი ქმრის ჯავრის ამოყრაზედ (მაღლა) თქვენ ძალიან საქმე ქენით, მე მკითხეთ, რომელსაც ექიმს მე გასწავლით, ასეთი კაცია, არა ქვეყანაზედ იმისთანა არავინ იპოვება, მეტადრე მაგისთანა გამნელებულის ავანტყოფისათვის.—

შიო. მართლა შენი ჭირიმე, სად უნდა მოვნახოთ?

ნანუა. თქვენ ეხლა იმას იპოვნით, ამ ბოლოს ქუჩაში, ლუქსა-აქვს ვაქსისა, ჭყიდის,—

ლუკა. ექიმი ჩექმების საღებავს ჭყიდის!

ნანუა. დიას. თქვენი ექიმობა არ უყვარს, მაგრამ ერთი საკვირველი რამ კაცია, რაღაც ხასიათისა და თავის დღეში ვერ მიხვდებით იმის ხასიათსა, როგორღაც სულელიურათ აცვია, თავს არ იჩენს უცო-დნელ კაცათ აჩვენებს თავს მცოდინარეს,

შიო. ეს საკვირველია, რომ ყოველს გამოჩენილს კაცს მაგისთანა რაღაც ხასიათი აქვთ, როგორღაც ცოტა ტუტუცები არიან თავიანთ სწავლაში.—

ნანუა. იმისი სიტუტუცე მომეტებული რამ არის, დაუჯერებელი, ახლ რომ ბევრჯელ მანამ კარგათ არა სცემენ არ იკისრებს ექიმობასა და მე თქვენ გეუბნებით რომ ვერას დროს თქვენს სურვილს ვერ მიხვდებით და არაოდეს ის არ იტყვის თუ ექიმია, რაკი ერთხელ თავში ქეიფი მოუვა, მანამ ორიოდ ჯოხი არ მოარტყათ არ გაგი-ტყდებათ, ჩვენ ყოველთვის ამ ღონისძიებას ვხმარობთ როცა ის საჭიროა ხოლმე.—

შიო. საკვირველი ტუტუცობაა.—

ნანუა. [illegible], მაგრამ მასუკან თქვენ ნახავთ რა საკვირველებას მო-ახდენს.—

შიო. სახელათ რას უძახიან?—

ნანო. თათუა ჰქვიან, ადვილად საცნობიც არის.—

ლუკა. რა ჩოხა აცვია?—

ნანუა. დაგლეჯილი სერთუკი აცვია.—

შიო. ექიმია როგორც ამბობთ?

ნანუა. რას ამბობთ სასწაულებს ჩადის, ექვსი თვე იქნება რაც ერთს ავანტყოფ დედაკაცს ერთიან ექიმებმა თავი დაანებეს. ყველას მკვდარი ეგონათ, შვიდი საათი ისე იყო, ის იყო დამარხვას უპირე-ბდნენ, როდესაც ის კაცი მიიყვანეს ძალათი როგორც მე გი სარი-თ, რო ნახა ერთი რაღაც წვეთი ჩაუშვა ყურში, იმავ წამს წამოდგა ის დედაკაცი და დაიწყო სახლში სიარული, თითქო თავის დღეში არა სტკივებიათო—

ლუკა. აიჭპე, აიპე, აიპე!!!

შიო. შეთუოთ ძალიან ძვირფასი წამალი რამ იქნებოდა?—

2

ნანუა. რასკვირველია, სამი თვე არ იქნება რაც ერთი თორმეტ-
წლის უმაწვილი ბიჭი ჩამოვარდა მაის მაღლა სამრეკლოდან და დაეჩხ-
რია იმას ცხვირი, თავი, ხელი, ფეხი, მაშინვე ის ჩვენი ოსტატი გა-
მოიყვანეს, რადაც წაისმელი წამალი წაუსვა ტანზედ, იმავწამს წამო-
ხტა და გაიქცა სათამაშოთ.—

ლუკა. აიბე! აიბე!

შიო. ეტყობა რომ ქვეყანაზედ და რაც სნეულებაა ყველას წამალი ჰქონი-
იმ კაცსა?—

ნანუა. უეჭველია!

ლუკა. ბიჭო და სწორეთ მაგისთანა კაცი გვინდოდა ჩვენ, წავიდე-
ჩქარა მოვძახოთ.—

შიო. დიდათ გმადლობთ ჩვენის სიამოვნებისათვის!

ნანუა, კარგა დაიახსოვნეთ ჩემი დარიგება. (გავა.)

ლუკა. მაგისი ჩვენ ვიცით, ცემის მეტი თუ არა უნდათ. გა-
მოზვერივით დავამშვიდებთ.—

შიო. ძალიან ბედნიერება მოგვივიდა რომ ამ ადამიანს შევხდ-
და როგორც ვფიქრობ ნასწავლი ექიმი უნდა იყოს.

გამოსვლა 5

თათუა და იგინივე.—

(თათუა თეატრის უკან იმღერის, ამან ხულო) ხულო, ხულო

შიო. მეყურება ვიღაც იმღერის

ნანუა. ეგ ის არის, ექიმია (თათუა შემოდის, ერთი ნასხვერ დ-
იანი ხელში უჭირავს. ვერ ხედამს შიოს და ლუკას.) და ახლა კი
ჰკარ, ცოტა შევიქაქანოთ. (შემდგომ დალევისა) (იმღერის ხულო
ზე)

რა კარგი ხარ ჩემო დოქო,
ტკბილია შენით ღვინის სმა,
გულს ჯანჯობიან შენი სმა,
ახ! დოქო შენ გენაცვალე,
რატომ მალე დაიცალე?....

შიო. აი ის კაცი.—

ლუკა. (ყურში შიოს) დიახ სწორეთ ის არის და სწორეთაც შე-
გვასხლე.—

შიო. აბა ახლო ვნახოთ.—

თათუა. (სადვინეს ჰკოცნის): ახ შენ ჩემო სულის დოქო;
მე რომ მქონდეს ეხლა ლოქო;
საუზმეზედ დავჯდებოდი,
დამთვრალი შავექნებოდი. (აქ დაინახავს): დასწყევლოთ ღმერთმა, რა ეშმაკებს ეძებენ ეს კაცები?—

შიო. (ლუკას.) ეს სწორეთ ის არის!

ლუკა. (შიოს.) როგორც ჩვენ გვითხრეს სწორეთ ის არის პირ წავარდნილი.—

თათუა. (სადვინეს მირს დასდგამს, შიო იხრება თავის დასაკვრელათ. იმას ჰგონია სადვინის ასაღებათ იხრება. აიღებს და იქით გადასდგამს; ლუკაც ემზადება იხრე როგორც შიო თათუა აიტაცებს სადვინეს მუცელზედ დაიდებს და სხვა და სხვა ნაირათ იღრიჯება, რომელიც შეადგენს თეატრის თამაშობას)

თათუა. (თავისთვის) ერომანეთს ჰკითხვენ რა განძრახვა ექნებათ?—

შიო. თქვენ ხომ არა გქვიანთ თათუა.—

თათუა. მერმე რა გინდა?....

შიო. მე გვითხარით თქვენ ხომ არა ხართ?—

თათუა (ჯერ შიოსკენ მერე ლუკას) ჰო, და რა გნებავდათ შეიტყოთ.

შიო. ჩვენ იმის პატივისცემა გვინდა რაც კი შეიძლება.—

თათუა. თუ აგერა მე გახლავარ თათუა.

შიო. ბატონო დიდად მოხარული ვართ თქვენის ნახვისათვის ჩვენ რასაც ვეძებდით თქვენზედ მოგვასწავლეს, ახლა გვეღრებით, მოგვეხმარეთ ჩვენ გაჭირვებაში!—

თათუა. თუ იმისთანა რამ არის ბატონებო, რაცა შეეხება ჩემ მცირე ხელობასა მზა ვარ თქვენის სამსახურისა.—

შიო. თქვენგან ეგ დიდი მოწყალებაა.—

ლუკა. ნუ გაგვარისხდები, ღმერთი გადღეგრძელებს.—

თათუა. (იქით) აი ზრდილობიანი კაცნი არიან (ქუდს დაიხურავს)

შიო. ბატონო საწყენათ ნუ მიიღებთ ამას რომ თქვენ მოგატანეთ; გამოცდილი კაცნი ყოველთვის საჭიროები არიან. და ჩვენ შეტყობილი გვაქვს თქვენი ხელოვნება.—

თათუა. სწორე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემისთანა ვაქსის გა-

თებელი არსად არ იშოვება.—

შიო. ეს ბატონო.....

თათუა. ჩემ თავს არა ვზოგამ და ასე რიგათ ვაკეთებ რომ არას დროს არ დაიწუნება.—ჩექმას ასე გავხდი, როგორც სარკე.—

შიო, ბატონო ჩვენ მაგას არა გკითხავთ.—

თათუა. კოლოფს აბაზათა ვყიდი.—

შიო. ღმერთი გადღეგრძელებს, მაგას ნუ გვიბრძანებ.—

თათუა. მე გადაჭრილს გეუბნებით: ამაზე ნაკლებ არ მივცემ.—

შიო. ბატონო ეგ ჩვენ ვიცით.—

თათუა. თუ იცით, ესეც უნდა იცოდეთ რომ ყოველთჳს ესე ვყი-დი.—

შიო, ბატონო თქვენ ხუმრობთ მითამ?

თათუა. სულ არა ვხუმრობ თქვენმა მზემ; და არც ნაკლებ მე-მიძლიან მივცე.—

შიო. სხვა ვთქვათ რამე ღმერთი გაცოცხლებს.—

თათუა. სხვაგანაც იშოვნით რასაკვირველია, მაგრამ ვაქსიც არის და ვაქსიცა, მე ინგლისისაგან მისწავლია.—

შიო. ეს ბატონო, მაგას თავი დავანებოთ

თათუა. მე თქვენ გარწმუნებთ ვერსად იშოვნით ამისთანას, თუნდ მომეტებული მისცეთ.—

შიო. ეს რასაკადრისია?

თათუა. არა მეთქი, მედაჩემმა სულმა ამაზედ ნაკლებ ვერ იშოვნ-ით, მე ჭეშმარიტათ მოგახსენებთ; მე იმისთანა კაცი არა ვარ—მო-მეტებული გთხოვოთ.—

შიო. რა საკადრისია ბატონო, მაგისთანა გვამი მასხარობით თა-ვს იმალავთ და იკადრებთ მაგისთანა ლაპარაკსა? მაგისთანა [illegible], მაგისთანა ჩინებული ქამი, როგორც თქვენ ბრძანდებით ქვეყანას ემ-ალებით და გინდათ დამარხოთ მაგისთანა ნიჭი.—

თათუა. (იქით გავა.) თქვენმა მზემ ხწორეთ გიჟი უნდა იყოს ეს.

შიო. თქვენი თავის მზეს ბატონო; ნუღარ გვაწვალებ ამაზედ მე-ტხა.

თათუა. როგორ?—

ლუკა. აბა იმე და ეგ ტარატურობა რათ გინდა, ჩვენ ვიცით რაც ვიცით

თათუა. რაო?... რაგინდათ ჩემგან?— ვინა გგონივართ მე?

შიო. ჩვენ ის გგონისარ და ვიცით რომ პირველი ექიმი ბრძანდებით.—

თათუა. თქვენ თუ ხართ ექიმი თორემ მე არა ვარ და არც ჩემსდღეში ვყოფილვარ.—

შიო. (ჩუმათ.) აი სიგიჟე (მაღლა) კარგი, ამაზედ მეტს ნუღარც თქვენ წუხდებით და ნუღარც ჩვენ გვაწუხებ და თუ თქვენი ნება იქნება ნუ მიგვიყვან იქამდის, რო უსიამოვნება მოგაყენოთ.—

თათუა. რა უსიამოვნება?—

შიო. ის ერთი საქმე რომ არის, რომელიც ჩვენ შეგვაწუხებს.—

თათუა. მე ვერა გამიგიარა? რაც გნებავთ ის ჰქმენით, არა ვარ და არც მესმის რას მეუბნებით.—

შიო. (დაბლა.) მეტი ღონე არ არის ჩვენი წამალი უნდა ვისმაროთ (მაღლა) ბატონო, კიდევ გთხოვთ გაგვიტყდეთ ვინც ბძანდებით.

ლუკა. შენ კი, თავი არ მომიკვდება ბევრს ნუღარ ჯიქდები, გაგვიტყდი რომ ექიმი ხარ!—

თათუა. გიჟები არიან, ლამის გამაანჩხლონ.—

შიო. კარგათ ვიცით ვინცა ხართ, თავს რათ იმალავთ.—

ლუკა. მითომ მეაორა თავს იდებ მ[illegible]ს გამოგადგება ეგ ცუღლუტობა.—

თათუა. ყმაწვილებო, ერთის სიტყვით [illegible]იან შორის შორს ვართ, მე თქვენ გეუბნებით, რომ ექიმი არა ვარ.—

შიო. მაშ ექიმი არა ხარ!

თათუა. არა

ლუკა. ექიმი არა ხარ?

თათუა. არა მეთქი გეუბნებით!

შიო. რახან გინდა ჩვენც მეტიღონე არა გვაქვს (აიღებენ თითო ჯოხსა და დაუწყებენ ცემას)

თათუა. ვაი! ვაი! ვაი! ბატონებო ვარ! ვარ! რაც თქვენ გინდათ.

შიო. აბა რისთვის იჯერებ საქმესა ბატონო, რისთვის მიგვიყვანე იქამდის.—

ლუკა აბა რათგინდა რო გცემოთ აი!

შიო. მერწმუნეთ ასე გწუხვართ რომ მეტი აღარ იქნება.—

ლუკა. თავი არ მომიკვდება არ არის სასიამოვნო სწორე გითხრა.

თათუა. რას გადარეულ ხართ ყმაწვილებო თავი ნუ მოგიკვდებათ: ხასიათიანათ მიგდებთ, თუ ორნივ დაგიჟდით; რათ ჩამაციებიხართ და გინდათ ექიმი ვიყო.—

შიო. კიდევ. არ გინდა გასტყდე და სულ გინდა იმასთ რო არა ხარ ექიმი?—

თათუა. ოჯახი დამექცეს თუ ექიმი ვიყო?—

ლუკა. მაშ მართალს ამბობთ, ექიმი არა ხარ!

თათუა. არა. ჭირი შემომიდგეს თუ ვიყო (დაუწყებენ ხელ ახლა ცემასა) ვაი! ვაი! ვაი! კარგი ყმაწვილებო ჯანიგაგვარდით რახან აღ-არ იშლით ვარ, ექიმი, აფთიაქარიც. კიდევ თუ გინებავთ მე ის მი-რჩევნიან ყველაზედ თანახმა შევიქნა. ოღონდ ამ ტანჯვას!—

შიო. ჰო? აი ეგ კარგი და პატიოსანი ბატონო დიდად მოხარული ვარ რომ ახლა რიგიანათ ლაპარაკობ.

ლუკა. გულმა ფუნდრუკი დამიწყო სიხარულით, რაკი შენ ეგა ბრძანე.

შიო. ბოდიში ვითხოვ მომიტევოთ.

ლუკა. ნუ გაგვიწყრები თავი ნუ მოგიკვდება, ორივეთ ჯოხი რომ გცემდეთ

თათუა. (იქით.) იქნება მე თვითონ როგორმე ვცდებოდე, მარ-თლა ექიმი შევქნილვიყო და ვერა გავიგე?—

შიო. ბატონო თქვენ არას იზარალებთ რაკი გვაჩვენებთ თქვენს ხელოვნებას და ნახავთ რა რიგათ კმაყოფილი შევიქნებით.—

თათუა. მაგრამ ყმაწვილებო ერთი ეს მითხარით. თქვენ თითონ არას სცდებით? და ჭეშმარიტათ იცით რომ ექიმი ვარ?

ლუკა. ჰო! თავი არ მომიკვდება?—

თათუა. ძალიან კარგია მაშ?—

შიო. რასაკვირველია!

თათუა. ეშმაკებმა წამიღოს თუ მე ეგ ვიცოდი?

შიო. რას ამბობ? შენ პირველი ექიმი ხარ ქვეყანაზე.—

თათუა. მართლა ამბობ?—

ლუკა. ისეთი ექიმი სადმე ხარ რომ რამდენი ავანტყოფი მოგი-რჩენია.—

თათუა. ღმერთმანი?

შიო. ერთი დედაკაცი ექვსი საათი მკვდარი დებულა; ის იყო

თურმე მარხამძინენ, შენ თურმე რაღაც ერთი წვეთით წამალი მიეცი ფეხზედ ადგენე და სახლში სიარული დააწყებინე.—

თათუა. აი დაწყევლოს ღმერთმა!

ლუკა. ერთი ვიღაც პატარა ბიჭი თორმეტის წლისა ჩამოვარდნილიყო სახურავიდგან, იმის გამოისობით, თავი, მკლავი, ფეხი დაემტვრია და შენ არ ვიცი რაღაც წაგაცხუნებინა მაშინვე სადმე ამდგარიყო და საფუნდრუკოთ სადმე წასულიყო.—

თათუა. აი დიდება შენთუს!

შიო. ბატონო თქვენ კმაყოფილნი დარჩებით ჩვენგან და მიიღებთ რაც თქვენ გნებამთ ოღონდ ნება მოგვეც წაგიყვანოთ სადა ჩვენ ჰვინდა.—

თათუა. რაც მე მინდა მივიღებ?

შიო. დიახ!

თათუა. რახან ასრეა, ექიმი ხარ, ყოველის კარის უთქმელად. მე ეს დამავიწყდა, მაგრამ ახლა მოვაგონდა: აბა რაზეა საქმე დამოკიდებული. სად გინდათ ჩემი წაყვანა?—

შიო. ჩვენი ბატონის ქალმა მეტყველება დაჰკარგა და იმის მორჩენა გვინდა.—

თათუა. თქვენსა მზემ მე არ მიშოვნია.—

შიო. (ჩუმათ ლუკას.) ხუმრობა ჰყვარებია,—აბა წავიდეთ ბატონო!

თათუა. ტანისამოსს ჩავიცვამ და წამოვალ!

შიო. ჩვენ გიცდით.—

თათუა. (საღვინეს აძლევს შიოს) დაიჭე ეს შენ, ეს ის არის სადაც გასაკრილებელი წამალია (შემდგომ მიუბრუნდება ლუკას.) შენ მიჭამე მაგას ბრძანებისა ებრ ექიმისა.—

ლუკა. ასა იმე მამო! ამისთანა ექიმი მიყვარს, მე მგონია ძალიან საქმეს ჩაიდენს, ამისთვს რომ ხუმარა ყოფილხარ.—

(ფარდა დაეშვება.)

## მოქმედება მეორე.

თეატრი წარმოადგენს ივანეს ოთახს.—

### გამოსვლა 1.,

ნანო, შიო, ლუკა, მართა და ივანე.—

შიო. დიახ ბატონო მე მგონია კმაყოფილი შეიქმნათ, ასეთი ექი-
მი მოგგვარეთ ქვეყანაზედ არ არის.—

ლუკა. ჰო! თავი არ მომიკვდება, სხვა აღარავინ უნდა ამოურჩიოთ
კიბეზედ. სხვები მაგის ქალამანის ღირსნი არ არიან.—

შიო. ასეთი რამ კაცია, ეხლა საკურველი წამლობა მოხვლია.

ლუკა. რომელსაც მკვდრები სამი მოურჩენია.—

შიო. ცოტა რაღაც ქეიფის კაცია, როგორც მოგახსენეთ და ხან-
დისხან ჭკუა როგორღაც დეეფანტება ხოლმე და თავის თავს ვეღარ
იცნობს.—

ლუკა. სუმრობა უყვარს და იტყვის კაცი თითქო რაღაც რეტი
აქვსო.—

შიო. მაგრამ გულში კი სულ ღრმა ცოდნით გატენილია და ბევრ-
ჯელ ასეთ რასმე მაღალს იტყვის, რომ რაღა ვთქვა.—

ლუკა. როცა მოჰყვება ლაპარაკს ასე გონია წიგნში კითხულობსო

შიო. მაგის სახელი გავარდნილია აქ მხარეზედ და მთელი ხალხი
სულ მაგასთან მოდის.—

ივანე. მე სული მელევა იმის ნახვისათვის, აბა მოიყვანეთ ჩქარა!—

შიო. ეხლავ მოვიყვან. (გავა.)

### გამოსვლა 2.

მართა. ჩემმა სიყმემ ბატონო, თუ კაი ექიმი გინდათ უპოვნოთ
თქვენ ქალსა, მე ვიცი, აბა თქვენ ერთი საქმრო მოჰგვარეთ, რომე-
ლიც მაგას უნდა.—

ივანე. ეი! ეი! ჩემო მიმავ, შენ ძალიან საქმეებში ერევი.—

ლუკ. დაჩუმდი ძმავ რა შენი საქმეა რომ ეჩხირები.—

მართა. მე ვანბობ და მოგახსენებთ, რომ სულ ეგ ექიმები ვერაფერს ვერას გაარიგებს, თქვენს ქალს სხვა რამ უნდა წამალი წუმალი და სისხლის გამოშვება კი არ, ქმარი ძალიან წამალია, რომელიც ყოველის ქალის სენს არგებს.—

ივანე. ესლა სადღა აქვ თავი მაგისთანა სნეულსა, ხო, აგი როცა მე მინდოდა გამეთხოვებინა, თავისი ბრალი არის, წინაალმდეგი რათ შეიქმნა.—

მართა. მე მგონია თქვენ გინდოდათ ასეთი ქმარი შეგერთოთ, რომელიც მაგას არ უყვარდა, ისეთი უმაწვილი შერთე, რომელიც მაგის გულს მოსწონს! აბა მაშინ მორჩება თუ არა.—

ივანე. ის ლევანი ისეთი ვერ არის როგორც უნდა არც იმტენი შეძლება აქვს, როგორც სხვასა

მართა. ბიძაი ჰყავს მდიდარი იმისი მემკვიდრე ის არის.—

ივანე. სულ ეგ სიმდიდრე, მე სიმდიდრე არა მგონია, რაც კაცს ხელში უჭირავს ის არის და ისინი ძალიან ჰსცდებიან და სტყუვდებიან, როდესაც სხვისაგან მოელიან ქონებას.

მართ.ა მე მაინც ამას ვიტყვი, რომ ესლანდელი გათხოვება სულ ვაჭრობა—

გამოსვლა. ვ.

თათუა და იგინივე.—

შიო. ბატონო მეემზადეთ აი ჩვენი ექიმი მობძანდა.

ივანე. (თათუას.) ექიმბაშო დიდათ მოხარული კარ, რომ თქვენ ჩემს სახლში გხედამთ და დიდათ ვსაჭიროებ თქვენს თავს.—

თათუა. (ექიმის ტანისამოსით სამინელის მწვეტის ქუდით) ჯანაოს ექიმმა ბრძანა, რომ ჩვენ ორთავ ქუდები დავიხუროთ —

ივანე. ჯანაოზ ბძანებს მაგასა?

თათუა. დიას!

ივანე. რომელს წიგნში სწერია, თუ არ გამიწყრებით?

თათუა. იმის წიგნებში.... ქუდა ძილში.—

ივანე. რადგან ჯანაოზ ბრძანებს ისე ვქნათ.—

თათუა. თქვენ რა გტკივათ?

ივანე, ვის ელაპარაკებით ბატონო?

თათუა. თვუჸრნა.—

ივანე, მე არა მტკივარა

თათუა. არა გტკივარა?

ივანე. არა მერწმუნეთ.—

თათუა. უცხო და პატიოსანი

თათუა. (ლუკას) შენა ბიჭო?

ლუკა. არცარა მე.—

ივანე. მაგას თავი დაანებე ბატონო, მე ერთი ქალი მყავს პანციონში გაზდილი და რაღაც საკვირველის ავათმყოფობით არის ავათ.—

თათუა. დიდათ მოხარული ვარ, რომ მე თქვენი ქალისათჳს საჭირო ვარ და ამასთანავე გულით და სულით, რომ თქვენცა და თქვენი სახლობაც მსაჭიროებდეთ რათა მით დაგიმტკიცოთ ჩემი გამზადება თქვენს სამსახურზე.

ივანე. დიდათ გმადლობთ მაგ მონაწილეობისთვის.—

თათუა. გარწმუნებ რომ სწორეს გულით მოგახსენებთ ამას.—

ივანე. მომეტებული პატივისცემაა, რასაც თქვენ ბრძანებთ.—

თათუა. რა ეწოდება თქვენს ასულს?

ივანე. მელანია.

თათუა. მელანია? ახ რა კარგი სახელია, წამლის მოსაცემათ მელანია. იქნება მელანმა არგოს?...

ივანე. წავალ ერთი ვნახავ რასა იქს.—

თათუა. ვინ არის ის მაღალი ქალი!

ივანე. მიძაა ჩემი პატარა ყმაწვილისა, (გავა და შიო გაჰყვება.)

## გამოსვლა. 4.

### მართა ლუკა და თათუა

თათუა. (იქით ცალკე) ოს რა ლამაზი მორთულობა არის ამ სახლში. (მაღლა) ახ მიძავ! მშვენიერო მიძავ, ჩემი ქმრობა არის უმდაბლეს ტყვეთ თქვენის მიძობისა; და ნეტამც პატარა ბავშვი ვიყო, რომ გიცოხნიდე შენ მშვენიერ მუძუებს (მუძუებისაკენ ხელს წაიღებს) ჩემი წამალი ჩემი ცოდნა ჩემი ნიჭი თქვენის სამსახურობისათჳს მე

მიწირამს და......—

ლუკა. უკაცრავათ ნუვიქნები ბატონო ექიმო რო მოგახსენოთ, თავი დაანებოთ ჩემ ცოლსა.—

თათუა. მართლა შენი ცოლია?

ლუკა. დიახ

თათუა. ახ.. უკაცრავათ რომ არ ვიცოდი; და დიდათ მოხარულ-ვარ თქვენი ერთმანეთის სიყვარულისთჳს (უნდა მითომ აკოცოს ლუკას და ჰკოცნის მიმას.)

ლუკა. (გამოსწევს თათუას. და, იმის და იმის ცოლშუა დადგება) წყნარა თუ ოქვენი ნებაც არის,—

გამოსვლა. 5.

იგინივე და ივანე.—

ივანე. ეხლავ გიახლებათ ჩემი ქალი.—

თათუა. მზა ვარ ბატონო, ყოვლის ჩემის საექიმოთი.—

ივანე. სად გახლავთ.—

თათუა. (შუბლზედ ჴელს იდებს.) აქა ბატონო.—

ივანე. ძალიან კარგი.—

თათუა. ახლა რადგან მე ვმონაწილეობ ყველასა თქვენს სახლობაზედ უნდა რომ გაუშინჯო თქვენს მიმასა და მუმუები უნდა უნახო (მარია უახლოვდება.)

ლუკა. (გამოსწევს და პიარუტზედ შემოატრიალებს) იქით, იქით ჩვენ ეგ არ გვინდა შენ ეი!

თათუა. ექიმის ვალია უნდა გაუშინჯოს მიმას მუმუს თავები.—

ლუკა. მე ვიცი რაც ვალია; აქ მიყურებ შენა.—

თათუა. ძალიან ბრიყვი ხარ, რომ ექიმის ნებას ეწინააღმდეგები ბეეთიე კარზედა!—

ლუკა. მე შენი მიქარ მუქარისა არა ვიცირა.—

თათუა. (დაუწყებს გაშტერებული ცქერას) ეხლავ ცივებას გაგიჩენ.—

ლუკა. ნუ, ნუ, ღმერთი გადღეგრძელებს.—

თათუა. მაშ ეშვიანი ნუ იქნები.—

ივანე. აი ჩემი ქალი.—

## გამოსვლა. 6. —

- იგინივე და მელანია. —

მელანია. (შემოვა....)

თათუა, ეს არის, ავათ მყოფი? —

ივანე. დიას მაგ ქალის მეტი არა მყავრა და დიდი უბედურობა იქნება ჩემთვის, რომ ეგ მომიკვდეს. —

თათუა. თავს კარგა გაუფრთხილდეს, როდი უნდა მოკვდე ექიმის უდასტუროთ. —

ივანე. აბა დაბრძანდით. —

თათუა. (ზის ივანეს და მელანიას შუა:) აი კაი ავათ მყოფი, რომელიც სასიამოვნო სანახავი არის, და მე მგონია ერთი კარგი მალ-ვე მცოდნე კაცი ლამაზათ გაასაღებდე (მენია გაიცინებს.) —

ივანე. გაიცინეთ აი, უფალო? —

თათუა. აგრე სჯობიან, როდესაც ექიმი ავათმყოფს გაიცინებს იცოდეთ კარგი ნიშანია (მელანიას) აბა ახლა მიბძანეთ, რაგემიზეზ-ებათ, სადა გრძნობთ უფრო ტკივილსა?, —

მელანია, (მიიტანს ხელს პირთან და ნიკაბქვეშ) ხან, ხო ხი ხოო ხან... —

თათუა. რაო რას ამბობთ?

ივანე. (ისევ ისე ხელით აჩვენებს) ხან ხი, ხონ, ხან ხი ხონ. —

თათუა. როგორ?

მელანია. ლა. ლი, ლონ. —

თათუა. ლან, ლი, ლონ, ჯან, ლა არ მესმის; სადაური ქმჯური ენაა. —

ივანე. უფალო ეგ არის კიდეც მაგისი სნეულება, ეგრე დამუნჯდა აქამდის ვერ გავიგია, რა იყო მიზეზი და ამ შემთხვევამ მოშალა მაგის გათხოვება. —

თათუა. რათა?. —

ივანე. ვინც მაგას თხოულობს ელის მაგის მორჩენას და მაშინ გადასწყვეტს საქმესა

თათუა. ვინ არის მაგისთანა სულელი, რომელსაც არ უნდა რომ იმისი ცოლი მუნჯი იყოს! აი ნეტავი ღმერთს ებძანებინა და ჩემი

ცოლი მუნჯი ყოფილიყო, შენი თავი არ მომიკვდეს იმის მორჩენა-ზე მე არა მენაღლარა.

ივანე. ახლა უფალო ჩვენ ამას გთხოვთ რომ ჩვენი მოცადინეობა იხმაროთ დამაგას უშველოთ რამე

თათუა. აა მაგაზედ ნუსწუხართ-ერთი ეს მიბძანეთ: ეგ სნეულება ძალიან აწუხებს

ივანე. დიახ ბატონო

თათუა ეგ უძეთესი. ტკივილს ძალიან გრძნობს?

ივანე. ძალიან

თათუა. ეგეც კარგი. თქვენ რომ იცით იქ დადის?

ივანე. დიახ!

თათუა. მომეტებულათ

ივანე. მე მაგეებისა არ ვიცირა

თათუა. (მელანას) აბა მაჯა მიბოძეთ (ივანეს) აი მაჯა რომელიც ამტკიცებს თქვენის ქალის მუნჯობას.

ივანე. დიაღ ჭეშმარიტია ბატონო ეგ არის მაგისი სენი თქვენ მაშინვე მისვდით

თათუა. აა! აა!

მარია. ნახე როგორ გამოიცნო ავამტყოფობა

თათუა. ჩვენ გამოჩინებული ექიმები იმავ თავი თავე მისვდებით სნეულებასა, გამოუცდელი კი აირეოდა და გეტყოდათ ეს ამისაგან და ამისაგან არისო თქვენი ქალი მუნჯიაო

ივანე. დიახ მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ რამიზეზისაგან არის

თათუა. მაგაზე უქადვილესი რა იქნება? იმისაგან გახლავს რომ მეტყველება დაუკარგავს.

ივანე. ძალიან კარგია მაგრამ რამიზეზისაგან თუ არ გამიწყრებით უნდა იყოს მაგის მეტყველობის დაკარგვა.

თათუა. ყოველი ჩვენი გამოჩენილი მთხუძველი გეტყვიანთ. რომ ეგ არის მიზეზი ენის უმოქმედობისა

ივანე. მაგრამ მაინც ჩემს ასულს რა მიზეზი უშლის ენის ხმარე-ბასა

თათუა. არისტოტელმა ბევრი რამ სთქვა!... მშვენიერი აზრები.

ივანე. მჯერა ძალიან

თათუა. ო. გამოჩინებული კაცი იყო

ივანე. გამიგონია.

თათუა. დიდი სრულებით უმაღლესი ვაჟიკაცი იყო, რომელიც დებს მაღლა ნიდაყვამდენ მკლავსა) ესრე უმაღლესი ყოფილა ჩვე[...] ჩვენი ლაპარაკის აზრი რომ არ დავკარგოთ, მე ვამტკიცებ რომ უსმარებლობა მაგის ენისა არის მიზეზი რომელსამე ქეიფს გა[...] ჩვენ ზოგი ერთი ნასწავლითი შორის ვქმსით მაწყინარ ქეიფს. მა[...] ინარი ეს იგი!... ქეიფი მაწყინარი მეტადრე მოგროვილი მომეტ[...] ულის ქარების მოქმედებას რომელნიც იმღებიან სნეულობის მხარ[...] მოსულის,... ასე ვსთქვათ სომ ლათინური გეყურებათ

ივანე. ჩემს დროს ქართულსაც მლივს გვასწავლიდნენ და აბა ლათ ინური საიდან მეცოდინება.—

თათუა. (ადგება გაჯავრებულივით) სრულებით არ გესმის ლათ ინური.—

ივანე. არა.

თათუა. (აღტაცებით) რადგან ბრიყვს ყოფილხარ უმკაბრკეტი არციტურა! ზასრეყულთამ მოგისდებს სენდულა რიტენობინტივ სყვმუზა ბონუს სანქტუს ორატიო ლეთინამე კუო გვარე.—

ივანე. ახ! რატო არ ვისწავლე!

მართა. ჰე, ძალიან ნასწავლი საქმე არ ყოფილა ეგ დასაქცევი.—

ლუკა. ცოდვა არ არის რომ არ მეყურება.—

თათუა. კიდევ ეს ქარები, რომელიც მოგახსენეთ, მაგ ქალს მოს[...] ვედრია მარცხნივ საითაც ევიძლია, მარჯვნივ გულისკენ და ამით სჩანს რომ ფილტვი, რომელსაც ჩვენ ლათინურად უწოდებთ » არმ[...] ან ბენერს ბედუმ « აქვს შეერთება ტვინთან, რომელსაც ჩვენ [...] ნიათ მაზმის ნასმეს ცრაკუსლის, ძირის ძარღვის გამო, რომელსაც უძახით ჩვენ ებრეულათ » ყუბილ ურიკლივარ. ერთათ იყურებიან სნ[...] ნებულ ქარებთან, რომელი ჰბერავს გულს, ზურგის ძმავს. და რადგ[...] ან სნეხებული ქარები... სო კარგა გესმასთ ეს ჩემო მოწყალეო ბ[...] ტონო, სოლო რადგან სნეხებულსა ქარებს აქვს ვიეთიმე წინააღმდ[...] ეგობა... ეს კარგათ გაიგონე, მე თქვენ გთხოვთ.—

ივანე. დიახ.

თათუა. აქვს ვიეთიმე წინააღმდეგობა, რომელმაც დამართა. ბეჯი[...] თად უგდეთ ყური მეხი თავი მიზეზს.

ივანე. ბეჯითად გასლავარ.

თათუა რომელიც გახდა მიზეზი ცუდის ქარებისაგან ქმნილების

გამო, ზრუდეთ დაზარუნებულისა მარღვთა შინა; მისდება რომ, ეს ქა-რები; ოსამონდეულა ნეკვის ნეკერ პყარინუმ კვიპსა-მილეუესი, აი სწ-ორეთ ეს არის მიზეზი შენი ქალის დამუნჯებისა

მართა. ახ რაკარქათ ილაპარაკა ამ ჩვენმა ოსტატმან.

ლუკა მეც აგრე მაინც მქონდეს მქნილი ენა!

ივანე უკულა კარქა ზმანეთ მაგრამ ბატონო ახლა რას ფიქრობთ მაგ სენს რა მოუხდება

თათუა. მე ეგ უნდა მეთქვა რამოუხდებოდა

ივანე. კარგი.

თათუა. ჩემი აზრია რომ ეგ ქალი თავის ქვეშაგებში დააწვინეთ და მიალებინოთ წამლათ კარგა ბლომათ ბოლღიწო.

ივანე. ეგ რისთჳს ბატონო?.

თათუა. მისთჳს რომ ღვინოსა და პურში ერთად არეულში არის მადლი რომელიც აძლევს მეტყველობასა, მაშ თქვენ არ იცით, რომ თუთიყუშს სხვას არაფერს არას აჭმევენ და იმითი სწავლობს ლაპარაკს

ივანე. ეგ მართალია

თათუა. საღამოზე დავხედავ ვიდევ რა ცვლილება ექნება.

შელანია (გავა)

## გამოსვლა 7

ივანე. თათუა. მართა

თათუა. (მართას) ჯგვაანათ იყავით (ივანეს) ამ ძიძასაც ეჭირება ცოტა რამ წამალი მივცე

მართა. ვინა? მე? ასრე კარგათა ვარ თავის დღეშიაც არა ვყო-ფილვარ.

თათუა. ეგ უარესი, ძიძავ; ეგ უარესი არ იცი რომ მომეტებული სიმრთელე საშიშია და ცუდი არ იქმნება ცოტაოდენი დასამშვიდებე-ლი სისლი გამოვიღოთ და გასაგრილებელი წამალი გავიკეთოთ

ივანე ბატონო რამოდა ეგ რომელიც მე არ მესმის, რასაჭიროა სისხლი გამოშვება როდესაც არა ემიზეზებარა

თათა. ეგ არაფერი ეს მოდა სასარგებლოა და აი როგორაც სმენ რომ წყურვილი არ მოუვიდეს ეგრეთვე სისხლი უნდა გამოუშვას

მამავალის ავადმყოფობის დროსა.

მართა. (გადის დ ანზობს) ჩემი თავი არ მოკვდეს მე ეგენი არ ჩავიდინო.

თათუა. წამლის მიღების ჯიუტი ყოფილხარ მაგრამ გისმარებთ იმისთანაღონის მიებას რომ შკუაზე დასჯდგე (მართა. (გავა დ ლუგა თან გაჰყვება.)

## გამოსვლა 8

### ივანე დ თათუა

თათუა. მშვიდობით ბძანდებოდეთ

ივანე. ცოტა მოთმინეთ თუ თქვენი ნებაც იქნება.

თათუა. რაგნებავთ?

ივანე. მინდა ფულები მოგართოთ ბატონო

თათუა. ნუ სწუხდებით არავიღებ ბატონო

ივანე რას ბრძანებ

თათუა. არა მეთქი

ივანე. ერთი წუთი.

თითუა. არა დ არა

ივანე. გთხოვ უმორჩილესად

თათუა. დამცინით

ივანე. აი მორჩი.

თათუა. მე აღარას ვიმოქმედებ

ივანე. ეს!

თათუა. მე ფულისათჳს არ ვმუშაობ.—

ივანე. გჯერა (შემდგომ ფულს გამუართმევს) ეს სამმიმო[?] არ არის!

ივანე. ღიას ბატონო.

თათუა. მე ხომ ჩარჩი ექიმი არა ვარ.—

ივანე. გარგათ ვიცი.

თათუა. ჩემში სარგებლობა არ უფლებს.—

ივანე. მაგას არაოდეს ვერ ვიფიქრებ (გავა ივანე)

თათუა. ჩემა მზემ ეს ცუდი არ არის თუმცა რომ.....

## გამოსვლა 9.

### ლევან და თათუა.

ლევან. უფალო დიდიხანია რაც მე თქვენ გეძებთ; გთხოვთ ბოდრებით თქვენს შემწეობას.—

თათუა. (მაჯას უსინჯავს.) ოხ! რა ცუდი მაჯაა!

ლევან. მე ავათ არ გახლავარ ბატონო და მაგისთვის არ გიახელ თქვენსთან.

თათუა. თუ ავათ არა ხარ, მა რა ემმაკებს მეუბნები?

ლევან. ორის სიტყვით შეგატყობინებ საქმეს: მე მქვიან ლევან რომელსაც მიყვარს მელანია, ქალი თქვენ რომ ნახეთ და რადგან მამა მისი კარ არის კარგათ ჩემთან და ჩემი სიყვარული აუკრძალა თავის ქალსა, მე გავბედე და გთხოვ შეწევნა მომცეთ ჩემს სიყვარულში, ეგებს როგორმე მომცეთ იმისთანა სურჩიასი შეხვედრა. რომ ორი სიტყვა უთხრათ იმ ქალსა, რომელზედაც არის დამოკიდებული ჩემი ბედნიერება და სიცოცხლე.—

თათუა, მე თქვენ ვინა გგონივართ. როგორ ჰბედავ და მეუბნებით მოგეხმაროთ თქვენ სიყვარულში და გინდათ დამდაბლება ექიმის ღირსებისა.—

ლევან. უფალო ნუ კი უგირით.—

თათუა. ჩემი ქციევია, ასე მინდა ვიყვირო; ბრიყვი ყოფილხარ,

ლევან. ეს! ბატონო ცოტა წყნარა.

თათუა. ცუდად ზდილი.—

ლევან. გიხოვთ უმორჩილესად!—

თათუა. მე შენ გაჩვენებ, რომ მე მაგ საქმის კაცი არა ვარ და ეგ მომეტებული თავ გასვლაა.—

ლევან. (ქისის ამოღების დროს.) ბატონო...

თათუა. ჩემი შემწეობა! (ქისას გამოართმევს) თქვენ არ მოგახსენებთ ამიტომ, რომ პატიოსანი კაცი ბძანდებით დიდათაც მიამება გემსახუროთ, მაგრამ ბევრი ბრიყვი კაცია ქვეყანაზედ, რომელნიც ფიქრობენ ზოგიერთზე, რომ იმისთანა სული იყოს და სწორე უნდა მოგახსენოთ. ეს მე ძალიან მაანჩხლებს.—

ლევან. გთხოვ, რომ მომიტევოთ ბატონო ამ ნაირი გაბედვა და..

თათუა. რაზეა საქმე დამოკიდებული?.

ლევან, ეხლავ შეიტყობთ ბატონო, ის ავათმყოფობა რომელიც თქვენ გინდათ მარჩინოთ, არის მოგონილი, ექიმებმა უცხოთ განს. აჯდეს მაგ სნეულებაზე და არა თქვენზე, ზოგმა ტვინი დასდო მიზეზათ ზოგმა შინაგანი შენობა, სიგიჟე, ზოგმა ღვიძლი, მაგრამ სწორე მიზეზი სიყვარულია, და ეგ ავანტყოფობა მელანიამ მოიგონა იმიტომ რომ ეგება იმითი მოუშორებინა საქმრო, რომელიც არ უყვარს რომ არავინ მიცნოს აქ ამისთვის ეს ტანისამოსი ჩავიცვი და თუ მნახოს უთხარით, რომ თქვენი აფთიაქარი ვარ. მგონია რომ ვერ მიცნოს.—

თათუა. არა მგონია!

ლევან. ახლა ჩემი სურვილი ეს არის ერთი ოთხიოთ. ხუთის წამლების სახელები მასწავლე რამე და მით გაჩვენო გამოცდილება და ჩემი სწავლა.—

თათუა. იმტენი მე ვიცი წამლების სახელები რაც შენა.—

ლევან. როგორ?.—

თათუა ქმაკმა რამიყოს თუ მე ექიმობისა გამეგებოდეს რამე, შენ რადგან პატიოსანი კაცი ხარ უნდა გაგიტყუნდე და გითხრა როგორათაც შენ გამიტყუდი და მითხარი.—

ლევან. რას ამბობ! მართალია არა ხარ?.....—

თათუა. არა მეთქი გეუბნები ჩემი ჭკუის დაუკითხავათ ძალათ გამაექიმეს, ჩემდღეში ამ ნაირ ჭკუის საქმეში არსად გავრეულვარ და ჩემი ცოდნა ქვევრის დათვლის იქით არ ასულა და არ ვიცი საიდან რა ჭკვიანი მოუვიდათ, რადგანაც რომ ძალას ძალათ უნდოდათ ექიმი გამხდარიყავ. მეც რა მეტი ღონე მქონდა, ვიკისრე ეს სახელი, მანამ სწორე პატრონი გამოჩნდება არ დაიჯერებ შეცდომილობით, რა ხმა გაისმა დაყოვნებით [illegible] ქმარისაგან შეკრულნი არიან, რომ ნასწავლ კაცათ მაგდებენ, ყოველ [illegible] მოდიან ჩემთან, თუ სულ საქმე ასე იქნება, სწორე გითხრა, მანამ ცოცხალი ვარ ექიმობაზე ხელს აღარ ვიღებ, ამისთანა ხელობა არც ერთი არ არის, ამისთვის რომ ავადმყოფი თუნდა მაარჩინო თუნდა არ მაარჩინო ფული ყოველთვის გეძლევა. სარაზე [illegible] გერვაში არ შეუძლიან რომ ერთი ბეწო სამოგვი წაახდინოს, მაშინვე ჯარიმა წაერთმევა, ამ ხელობაში კი შეიძლება. როგორც გინდა კაცი წაახდინო გრომს არ

გაიგებ, ჩვენ აქიმებში ფუტკი არ ვიცით და ურჯულოთვის დამნაშავე ვინც მოკვდება ის არის; ამასთანვე საქები სყლობა იმიტომ არის, რომ ჩვენგან დასოცილს მკვდრებთა შორის საკურველი პატიოსნება, დიდი მოკრძალება და სიჩუმე. რაცკი ქვეყანაზე შეიძლება, და თავის დღეში ვერავინ ნახამს მოჩივარს მკვდარსა ექიმზე რომელმაც მოკლა. —

ლევან. მართ ლა მკვდრები ძალიან პატიოსანი არიან მაგ საგანზე (ლევან გავა)

## გამოსვლა: 11.

### იგინივე და მართა

თათუა. აი მშვენიერი ძიძა, ახ ჩემი გულის ძიძავ, შენ შეხვედრა დიდათ მოხარული ვარ შენი ნახვა არის, უმაღლეს ტკბეთ შენის ძიძობისა.

მართა. ჩემმა სიყმემა ბატონო, ექიმო, ძალიან რამეები მითხარ ეს არის რომ ვერა გავიგონერა. —

თათუა. ერთი ავათ გახდი ძიძავ, მე გთხოვ, გახდე ავათ, ჩემის სიყვარულისათვის ნახე რა სიამოვნებით და სიხარულით მოგარჩინო.

მართა. მე მოსარჩენი არა მიჭირს. —

თათუა. მებრალები ლამაზო ძიძავ, მაგისთანა ბჭვიანი ანჩხლი ქმარი გყოლია,

მართა. რა უყოთ ბატონო? ჩემი ცოდვის კითხვაა. —

